ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

23.03.2011 № 461/05

თბილისი

სტუ-ს 2010 წლის 22 დეკემბრის №1799/05 ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის“ ქვეპროგრამის - „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ დამტკიცების შესახებ“ № 135 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს 2010 წლის 22 დეკემბრის №1799/05 ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ 1. პრეზიდენტის სტიპენდია 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან 2011 წლის პირველ მარტამდე, ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში, თვეში 150 ლარის ოდენობით, დაენიშნოთ ფაკულტეტების მიხედვით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს.“
2. სტუ-ს 2010 წლის 22 დეკემბრის № 1799/05 ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ.კლიმიაშვილი*

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *ქ. ქოქრაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის
უფროსი *კ. ქურციკიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*